

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში თემაზე:

„ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების
გამოყენებით V კლასის მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის
გაუმჯობესება ისტ-ის გაკვეთილზე“

მარიამი ტაბლიაშვილი

სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის

სოფელ მარტყოფის #1 საჯარო სკოლის

ინფორმაციული და საკომუნიკაციო

ტექნოლოგიების (ისტ) მასწავლებელი

2019 წელი

მ ა დ ლ ო ბ ა

საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის დროს გაწეული დახმარებისა და კონსულტირებისთვის მადლობას ვუხდით სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის №1 საჯარო სკოლის მათემატიკისა და ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კათედრისა და შეფასების ჯგუფის წევრებს, ბიბლიოთეკარს, ასევე სკოლის ადმინისტრაციას.

ასევე მადლობას ვუხდით V^ა კლასის მოსწავლეებს და მათ მშობლებს, რომელთა ხელშეწყობით განვახორციელე კვლევა.

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი:

წინამდებარე პედაგოგიური კვლევა წარმოადგენს ჩემს მიერ შექმნილ ნაშრომს, რომელიც საკუთარი პედაგოგიური გამოცდილების საფუძველზე ეტაპობრივად შეიქმნა. პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ეს ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნაშრომს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ/გამოქვეყნებულ მასალას. ნაშრომში გამოყენებულია სხვა ავტორთა მასალები სათანადო წესის დაცვით. ამ მასალიდან მოხდა ინფორმაციის ამოღება ციტირებით, რომლის ბოლოშიც მითითებულია ავტორის ვინაობა და გამოქვეყნების დრო.

მარიამი ტაბლიაშვილი

ა ბ ს ტ რ ა ქ ტ ი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ჩემი პედაგოგიური კვლევის ანგარიშს, რომელშიც გადმოცემულია თუ როგორ შევუწყო ხელი ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით V კლასის მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის გაუმჯობესებას ისტ-ის გაკვეთილზე.

კვლევის პროცესი წარიმართა 2019 წლის იანვრიდან მაისის ჩათვლით. პირველ რიგში მოვახდინე საკვლევი საკითხის იდენტიფიცირება, რაც კავშირში იყო მოსწავლეთა სწავლის პროცესში ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიზნობრივად გამოყენების პრობლემასთან. საკვლევი საკითხი გამოიკვეთა მას შემდეგ რაც დავაკვირდი მოსწავლეებს და ჩავუტარე ანკეტირება. ფოკუს-ჯგუფი, დაკვირვების და გამოკითხვის განხილვის ეტაპზე დავასახელე პრობლემის აღმოსაფხვრელი გზები. ძირითადი აქცენტი დავსვი იმ პრობლემაზე, რომელიც ისტ-ის გაკვეთილზე ტექნოლოგიების გამოყენების დროს გამოიკვეთა.

ინტერვენციების მიმდინარეობისას ვახდენდი დაკვირვებას, რამდენად მიზნობრივად იყენებენ მოსწავლეები საინფორმაციო ტექნოლოგიებს. მონაცემთა შეგროვებაში და ძირითადი პრობლემის იდენტიფიცირების პროცესში გამოვიყენე, როგორც, რაოდენობრივი, ისე თვისობრივი კვლევის მეთოდები: დაკვირვება, ანკეტირება, ფოკუს-ჯგუფი.

კვლევის შედეგების ანალიზმა დაადასტურა ჩემი ვარაუდი ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიზნობრივად გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემის შესახებ. ხოლო ჩემ მიერ შემუშავებულმა აქტივობებმა ხელი შეუწყო ამ პრობლემის გადაჭრას.

საკვანძო სიტყვები: ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; შემოქმედებითი უნარი; ჩართულობა; მოტივაცია; მასალის მოძიება/დამუშავების უნარი;

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი.....	5
თავი I საკვლევი საკითხი	9
1.1 მოკლე ინფორმაცია სკოლის შესახებ	9
1.2 საკვლევი საკითხის მიმოხილვა და მოსალოდნელი შედეგები.....	9
1.3 პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები	12
1.4 კვლევის მიზნები და ამოცანები	13
1.5 ძირითადი საკვლევი კითხვები/ქვეკითხვები	14
თავი II	15
ლიტერატურის მიმოხილვა.....	15
თავი III კვლევის დიზაინი	19
3.1 კვლევის სამიზნე ჯგუფი	19
3.2 კვლევის გეგმა და ვადები.....	20
3.3 კვლევის მეთოდები.....	21
თავი IV კვლევის შედეგები	22
4.1 მონაცემთა ანალიზი	22
4.2 კვლევის მიგნებები და ნაკლოვანებები	24
თავი V ინტერვენციები	26
5.1 ინტერვენციების დაგეგმვა/განხორციელება და აღწერა	26
5.2 ინტერვენციების შედეგები ანალიზი.....	28
5.3. დასკვნა.....	29
5.4 რეკომენდაციები.....	30
ბიბლიოგრაფია/გამოყენებული ლიტერატურა.....	31
დანართი 1. კითხვარი მოსწავლეებისთვის.....	32
დანართი 2. ფოკუს ჯგუფი მოსწავლეებთან.....	33
დანართი 3. კითხვარი პედაგოგებს.....	34
დანართი 4. კითხვარი მშობლებს.....	35
დანართი 5. ინტერვენციისთვის სამუშაო 1 ტესტი.....	36
დანართი 6. მოსწავლეებისათვის შედგენილი კითხვარის შედეგები.....	37
დანართი 7. მშობელთა ანკეტირების შედეგები:.....	40
დიაგრამები:	40
დანართი 8. მასწავლებელთა ანკეტირების შედეგები:.....	41
დანართი 9. დამოუკიდებელი სამუშაოების ანალიზი.....	42
რ ე ფ ლ ე ქ ს ი ა.....	43

შესავალი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის №1 საჯარო სკოლის V კლასში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის გაუმჯობესება ისტ-ის გაკვეთილზე. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები, როგორც მეცნიერულ კვლევათა პროდუქტი, არსებითად განსაზღვრავს განათლების მომავალს.

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების აქტიურმა გამოყენებამ სასწავლო პროცესში არა მხოლოდ ტექნიკური უნარ-ჩვევები შესძინოს მოსწავლეს, არამედ შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოსაყალიბებლად.

სასწავლო პროცესში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას რამდენიმე მნიშვნელოვანი მხარე აქვს, კერძოდ:

- ხელს უწყობს საგანთა შორის კავშირების წარმოჩენას;
- ხელს უწყობს შემოქმედებითობისა და ინოვაციური მიდგომების განვითარებას, რაც ძალზე მნიშვნელოვანია პრობლემებზე დაფუძნებული კონსტრუქტივისტული საკლასო გარემოს შესაქმნელად; [3] ესე

ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის მანძილზე მოსწავლეებთან ვანხორციელებდი სხვადასხვა აქტივობებს, რომელიც ხელს უწყობდა მათ განვითარებინათ სხვადასხვა სწავლითი უნარები. პირველი რაზეც ვამახვილებდი ყურადღებას იყო ტექნოლოგიების მიზნობრივად გამოყენება და მრავალფეროვანი სასწავლო მასალის შექმნა.

ამჟამად ჩემს სადამრიგებლო კლასში მოსწავლეებთან მუშაობის დროს წავაწყდი პრობლემას, რომელიც ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების არამიზნობრივ გამოყენებას შეეხებოდა, რაც იწვევდა ყურადღების დეფიციტს და ნაკლებ ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში. გადაწყვეტიე კვლევაც სწორედ ამ მიმართულებით განმეხორციელებინა და მომეძებნა ის გზა, რაც დამაძლევინებდა არსებულ პრობლემას.

პრაქტიკულ კვლევაზე მუშაობის პირველი ნაბიჯი საკვლევო პრობლემის განსაზღვრა იყო. დიდხანს ვფიქრობდი იმ სავარაუდო საკითხებზე, რომლებზეც შევძლებდი კვლევის ჩატარებას.

წინამდებარე კვლევა წარმოადგენს სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლაში განხორციელებულ კვლევის ანგარიშს. კვლევა განხორციელა ამავე სკოლის მათემატიკისა და ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კათედრის პედაგოგმა მარიამი ტაბლიაშვილმა. სამიზნე ჯგუფს კი წარმოადგენს V^ა კლასი, სადაც ირიცხება 27 მოსწავლე.

ნაშრომში განხილულია ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული პრობლემები და ამ პრობლემების გადაჭრის გზები.

კვლევა განხორციელდა 2018-2019 სასწავლო წლის II სემესტრში.

კვლევას დაწყებამდე ჯერ მოვახდინე საკვლევო საკითხის იდენტიფიცირება, შემდეგ ჩავატარე სხვადასხვა გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგად გავარკვიე პედაგოგთა, მშობელთა და მოსწავლეთა დამოკიდებულება საკვლევო საკითხისადმი, ასევე გავეცანი და შევისწავლე სხვადასხვა მეთოდების ეფექტიანობა, რომელსაც ვიყენებდი მოსწავლეებთან მუშაობის დროს.

ნაშრომი შედგება 5 თავისაგან და 15 ქვეთავისგან. კვლევის დასაწყისში წარმოდგენილია პრობლემა, საიდანაც მოხდა მიზნის ჩამოყალიბება, მასზე დაყრდნობით დავისახე ამოცანები. შესავალში განხილულია საკითხის/პრობლემის აქტუალობა. ლიტერატურის მიმოხილვაში კი მოყვანილია სხვადასხვა მეცნიერთა ნაშრომებიდან ამონარიდები და გაკეთებულია მათი ანალიზი, სწორედ ამ მასალიდან იქნა ამოღებული ინფორმაცია ჩემი საკვლევო საკითხის შესახებ. ნაშრომში აღწერილია კვლევის მეთოდოლოგია, წარმოდგენილია ძირითადი საკვლევო შეკითხვები და განსაზღვრულია სამიზნე ჯგუფი. კვლევის მეთოდების მიხედვით გაკეთებულია მონაცემთა ანალიზი, გამოკვეთილია მიგნებები და დასკვნები. კვლევის ანგარიშის ბოლო ნაწილში განხილულია დაგეგმილი და განხორციელებული ინტერვენციები, რომლებიც სრულად ეყრდნობიან მონაცემთა ანალიზის შედეგებს. დაგეგმილი ინტერვენციების განხორციელების შედეგები

შეფასებულია და გაკეთებულია ინტერვენციების ანალიზი. იმაზე თუ რამ შემიშალა ხელი კვლევის პროცესში მოკლედ გადმოცემულია კვლევის ნაკლოვანებებში, კვლევის დროს აღმოჩენილი იქნა მიგნებები. საბოლოო დასკვნის შემდეგ გაკეთებულია რეკომენდაციები.

კვლევის ანგარიშის დასკვნით ნაწილში მოთავსებულია გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი ბიბლიოგრაფია, რის შემდეგ წარმოდგენილია 8 დანართი: რაოდენობრივი კვლევის მეთოდიდან ანკეტირების კითხვარები მოსწავლეთათვის, მშობელთათვის და მასწავლებლებისათვის, ხოლო თვისობრივი-ფოკუს-ჯგუფის კითხვები მოსწავლეთათვის, ასევე ინტერვენციისთვის სამუშაო 1 ტესტი, რომელიც გამოვიყენე პრეტესტად და პოსტტესტად. კვლევას ბოლოში თანდართული აქვს განხორციელებული კვლევის რეფლექსია.

საკვლევი საკითხის აქტუალურობა

ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) გარეშე წარმოდგენილია დღეს პროგრესი საზოგადოებრივი მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში. შესაბამისად, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში ხელს უწყობს მოსწავლეებმა შეიძინონ ტექნიკური უნარ-ჩვევები, შეძლონ ინფორმაციის მოძიება და დამუშავება, ახალი პროდუქტის შექმნა, საგანთა შორის კავშირების წარმოჩენა, შემოქმედებითობისა და ინოვაციური მიდგომების განვითარება.

მუხლი 75. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - ზოგადი ნაწილის მიხედვით „ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სწავლის პროცესში ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას. გარდა იმისა, რომ ისტ-ის გამოყენებით შესაძლებელია უფრო მდიდარი, მრავალფეროვანი და დინამიური სასწავლო მასალის შექმნა და გამოყენება, მისი საშუალებით შესაძლებელია სასწავლო შინაარსი გავხადოთ ინტერაქტიული. შედეგად, მოსწავლე ინფორმაციის პასიური მიმღები კი არ არის, არამედ მას თავად შეუძლია სასწავლო შინაარსის მოდიფიცირება და შექმნაც კი. ყოველივე ეს კი სრულად შეესაბამება სასწავლო პროცესისადმი თანამედროვე, კონსტრუქტივისტულ მიდგომას, რომელიც ითვალისწინებს ცოდნის მიგნებასა და შექმნას თვით მოსწავლის მიერ“. [3] ესგ

ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შესწავლა იწყება V კლასიდან. მანამდე მოსწავლეები პირველი კლასის პირველ სემესტრში სწავლობენ ბუკის გამოყენებას ცალკე საგნად, სადაც ეუფლებიან ტექნიკის მოხმარების წესებს, ცალკეული მოწყობილობების სახელწოდებებს და მცირე დოზით მათ დანიშნულებას. მეხუთე კლასში მოსწავლეები იწყებენ პროგრამების შესწავლას და მათი საშუალებით ახალი პროდუქტის შექმნას. რაც მანამდე აქვთ გამოცდილება ტექნოლოგიების საკმარისი არ არის, რადგან იყენებენ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს არასათანადო დანიშნულებით, არა განათლებისთვის, არამედ გართობის მიზნით. სწორედ ეს პრობლემა იჩენს თავს დაკვირვებისას, ნაწილი მოსწავლეების ნაკლებად ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში, რაც იწვევს ყურადღების გაფანტვას და მოტივაციის დაქვეითებას.

ისტ-ის გამოყენებამ შესაძლოა უფრო ეფექტურად და ინტენსიურად შეუწყოს ხელი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული უნარ-ჩვევების განვითარებას. ასეთებია, მაგალითად:

- *ვიზუალური თუ რაოდენობრივი კანონზომიერებების აღმოჩენის უნარი (კანონზომიერება საგანთა მიმდევრობაში, კანონზომიერება გრაფიკულ გამოსახულებაში, რაოდენობრივი ცვლილების კანონზომიერება);*
 - *ობიექტთა ზომების დადგენისა და შეფასების უნარი;*
 - *ინფორმაციის გააზრებისა და ერთი ფორმატიდან მეორეში გადაყვანის უნარი (მაგალითად: ტექსტური მასალისათვის გრაფიკული გამოსახულების შერჩევა და პირიქით; სიტყვიერად აღწერილი რაოდენობრივი ინფორმაციის გამოსახვა და პირიქით);*
 - *სივრცული წარმოდგენის უნარი;*
 - *თანამშრომლობითი უნარ-ჩვევები;*
 - *სამუშაო სივრცის მომზადებისა და საჭირო საშუალებების შერჩევის უნარი. [3] ესგ*
- საკვანძო სიტყვები:** ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; შემოქმედებითი უნარი; ჩართულობა; მოტივაცია; მასალის მოძიება/დამუშავების უნარი;

თავი I საკვლევი საკითხი

1.1 მოკლე ინფორმაცია სკოლის შესახებ

სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის №1 საჯარო სკოლა მდებარეობს ქვემო ქართლში, გარდაბნის რაიონში. სკოლის დირექტორი - ქალბატონი ლია შოთაძე. სკოლაში სწავლობს 611 მოსწავლე და მუშაობს 56 პედაგოგი. მათ შორის 23-პრაქტიკოსი, 32-უფროსი და 1-მენტორი. სკოლა ჩართულია სხვადასხვა პროექტში:

- 1) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამა „საუბრები მომავალზე“, რომლის მიზანია საინტერესო თემების გაცნობა IV-V კლასის მოსწავლეებისათვის, ამ პროგრამის მეშვეობით მათი სწავლების პროცესი თანამედროვე ტექნოლოგიებით გამდიდრდება. 2019 წლიდან;
- 2) ახალგაზრდული იდეა, რომლის ფარგლებში წარმატებით განხორციელდა არაერთი ფასიანი პროექტი. 2018-2019 სასწავლო წელი;
- 3) ინკლუზიური განათლების მხარდაჭერის პროექტი 2019 წლიდან;

სკოლის პედაგოგები სისტემატიურად იმაღლებენ კვალიფიკაციას სხვადასხვა ტრენინგებისა თუ სემინარების საშუალებით. ესწრებიან კონფერენციებს. 12 უფროსი მასწავლებელი სასწავლო წლის დასასრულს ელოდება სტასუსის ცვლილებას რომ გახდეს წამყვანი, ხოლო 3 პრაქტიკოსი მასწავლებელი - უფროსი.

1.2 საკვლევი საკითხის მიმოხილვა და მოსალოდნელი შედეგები

პრაქტიკული კვლევა ჩატარდა სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის №1 საჯარო სკოლის V^ა კლასში, კლასში ირიცხება 27 მოსწავლე, კვლევის დაწყების ეტაპზეც მოსწავლეთა რაოდენობა იყო 27.

ჩემს მიერ ჩატარებული კვლევა გამომდინარეობს იქიდან, რომ მიმაჩნია, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სწავლის პროცესში არამიზნობრივად ხდება მოსწავლეთა მხრიდან, რაც საგანამანათლებლო საქმიანობას

უმლის ხელს. მოსწავლე ინფორმაციის მხოლოდ პასიური მიმღები არ არის და მას შეუძლია ცოდნის გასაღრმავებლად და სწავლისთვის სასარგებლოდ გამოიყენოს ტექნოლოგიები, თავად შექმნას პროდუქტი, რაც შეესაბამება სასწავლო პროცესისადმი კონსტრუქტივისტულ მიდგომას.

ვაკვირდებოდი ჩემი მოსწავლეების ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში და ვხედავდი, მათ უმრავლესობას უჭირდათ დამოუკიდებლად მუშაობა საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებით. დაკვირვებამ მიჩვენა, რომ მოსწავლეებს შეუძლიათ აქტიურად ჩაერთონ კითხვა-პასუხის რეჟიმში, გააანალიზონ და უპასუხონ შეკითხვებს, იმსჯელონ ზეპირი ფორმით, პრაქტიკულად მუშაობა კი უჭირთ და ამ დროს ცდილობენ უნებართვოდ დაკავდნენ არასაგაკვეთილო თემით (ინტერნეტი). პრაქტიკული სამუშაოს სირთულე ძირითადად ბრძანებების არასწორად გამოყენებაში, ინფორმაციის გააზრებისა და ერთი ფორმატიდან მეორეში გადაყვანის პროცესში ვლინდება. მაგალითად, ტექსტური მასალისთვის გრაფიკული გამოსახულების შერჩევა ან პირიქით;

აღნიშნული პრობლემის დასაძლევად ისტ-ის მასწავლებლის როლი უმნიშვნელოვანესია, ჩემი აზრით, მასწავლებელი მუდმივად უნდა ეძიებდეს სიახლეებს, თუ პედაგოგს თავად არ აქვს თვითანალიზის უნარი, იგი ვერ შეძლებს მოსწავლეებში სხვადასხვა უნარების განვითარებას, მასწავლებელმა ისე უნდა მიაწოდოს ბავშვებს დასამუშავებელი მასალა, რომ მათ ფიქრის, მსჯელობის და მიგნებების განსხვავებული ინტერპრეტირების საშუალება დაუტოვოს, უნდა წახალისოს მოსწავლეთა დამოუკიდებლობა, რათა მოსწავლეებს შეცდომის დაშვების შიშის არ ჰქონდეთ და შეძლონ თანამშრომლობით, როგორც თანაკლასელებთან ასევე მასწავლებელთან, შექმნან ელექტრონული პროდუქტი. მუშაობის პროცესში ორიენტაცია უნდა გაკეთდეს უფრო მეტად ნამუშევრების ხარისხზე და არა დროზე (დრო უმეტეს წილად არ არის საკმარისი).

მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება, ვფიქრობ ყველაზე აუცილებელი საშუალებაა ამ პრობლემასთან შესაჭიდებლად. *„დაეხმარეთ ბავშვებს თავიანთი ფარული ნიჭის აღმოჩენასა ან არსებულის განვითარებაში. დაე, თვითონ აირჩიონ ის, რაც აინტერესებთ.“* (ირმა კახურაშვილი)[2]

ვფიქრობ, სასარგებლო იქნება თუ მოსწავლეებს შევთავაზებ მრავალფეროვან პრაქტიკულ სამუშაოს და მივცემ კონსტრუქციულ უკუკავშირს, რაც მოსწავლეების მოტივაციას აამაღლებს.

ასევე მეტი ჩართულობის მიზნით, ვფიქრობ მოსწავლეებს დავავალო თავად შექმნან მომდევნო პრაქტიკული სამუშაოსათვის საჭირო ამოცანის პირობა და გაცვალონ წყვილებში სამუშაოდ.

ჩემი აზრით, მოსწავლეთა მოტივაციას გაზრდის ისიც, თუ ისინი თვითონაც ჩაერთვებიან დავალების შესაბამისი შეფასების კრიტერიუმების შედგენაში, მოსწავლეებს შევთავაზებ, აგრეთვე, ხშირად გააკეთონ საკუთარი და თანატოლების თვითშეფასება და ამისათვის კიდევ ერთხელ მიუბრუნდნენ შეფასების სქემებს. *„თვითშეფასება და თანატოლთა შეფასება მოსწავლეებს აძლევს იმის საშუალებას, რომ უფრო კარგად გააცნობიერონ თავიანთი სუსტი და ძლიერი მხარეები. ამით მათ სწავლის პროცესის მიმართ მეტი პასუხისმგებლობის გრძნობა უვითარდებათ.“* (გვ.112) [5]

შეფასების ეს მეთოდი მნიშვნელოვანია მასწავლებლისთვისაც, ამით მეტი ინფორმაციას აგროვებს მოსწავლეების შესახებ და უფრო ეფექტურად შეძლებს მათ დახმარებას.

ვფიქრობ, აღნიშნული კვლევა სარგებლობას მომიტანს მე, როგორც პედაგოგს, იმ კუთხით, რომ ჩემი პროფესიული საქმიანობა გახდება კიდევ უფრო ხარისხიანი, შევძლებ მარტივად გავუმკლავდე პრობლემებს, მიღებული გამოცდილება გამომადგება სხვა მოსწავლეებთან მუშაობის დროს. კვლევის პროცესში შეძენილი ცოდნა დამეხმარება ჩემს მოსწავლეებს როგორ გავუმჯობესო ჩართულობის ხარისხი ისტ-ის გაკვეთილზე, ისე რომ შეძლონ ყურადღების კონცენტრირება მხოლოდ სამუშაოზე. ვფიქრობ, კოლეგებიც მსგავსი პრობლემის არსებობის შემთხვევაში, დანერგავენ თავიანთ პრაქტიკაში მსგავსი ტიპის კვლევებს. გამოადგებათ ჩემი გამოცდილება, შეუძლიათ გამოიყენონ ჩემი მიგნებები და განახორციელონ კვლევა. რაც აღმოფხვრის სხვადასხვა პრობლემას სკოლაში. ეს კი დაგვეხმარება საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებაში სკოლაში, მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის გაუმჯობესების მხრივ.

საკვლევი კითხვა/ჰიპოთეზა

- როგორ შევუწყო ხელი მოსწავლეთა ჩართულობის გაუმჯობესებას ისტ-ის გაკვეთილზე?
- როგორ დამეხმარება ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება V კლასის მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის გაზრდაში ისტ-ის გაკვეთილზე?

1.3 პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები

წამოჭრილი პრობლემის აღმოფხვრის მიზნით დავიწყე მიზეზების კვლევა, ჩავატრე პედაგოგებთან ანკეტირება (შეავსეს მასწავლებლის კითხვარი). ანკეტირება ვაწარმოე მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მონაცემთა ანალიზის შემდეგ კერძოდ V კლასში მოსწავლეებთან განვახორციელე დაკვირვება და გამოვკვეთე შემდეგი მიზეზები:

- ყურადღების კონცენტრაცია;
- ერთფეროვანი პრაქტიკული დავალებები;
- გაუგებარი ინსტრუქციები;
- კომპიუტერული უნარ-ჩვევების დეფიციტი;
- მოსწავლეებს ურჩევნიათ კომიუტერთან ურთიერთობა არასაკვლევო მიზნით;
- მოსწავლეებთან ანკეტირებამ მიჩვენა ასევე მოტივაციის ნაკლებობა.

ვფიქრობ ამ პროცესის სწორად განხორციელებაში დამეხმარება საკითხის საფუძვლიანი შესწავლა და ისეთი ტიპის გაკვეთილების დაგეგმვა და ჩატარება, აგრეთვე კვლევა, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის გაუმჯობესებასთან.

1.4 კვლევის მიზნები და ამოცანები

ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემის გამომწვევი მიზეზების გათვალისწინებით კვლევის მიზნად დავისახე:

- შემესწავლა დაწყებითი საფეხურის V^ა კლასის მოსწავლეების პრობლემები და საჭიროებები, კერძოდ დამედგინა ისტ-ის გაკვეთილზე მოსწავლეთა ჩართულობასთან დაკავშირებული პრობლემების გამომწვევი მიზეზები და მომეძებნა ამ პრობლემის გადაჭრის გზები, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ჩართულობის ხარისხის გაუმჯობესებას.
- ისტ-ის სწავლების პროცესში დავნერგო ისეთი მეთოდები, სტრატეგიები, აქტივობები, რომელთა გამოყენებაც დამეხმარება მოსწავლეებს განუვითარო ყურადღების კონცენტრაცია, რათა შეძლონ თანამშრომლობა, ჩართულობა, მასალის მოძიება/დამუშავების უნარი;

მიზნებიდან გამომდინარე შემდეგი ამოცანები დავსახე:

- უბრალო დაკვირვება V^ა კლასის მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში პრაქტიკული საქმიანობის დროს;
- ანკეტირება მოსწავლეებთან;
- ფოკუს-ჯგუფი მოსწავლეებთან
- ანკეტირება მშობლებთან
- ანკეტირება მასწავლებლებთან
- მონაცემთა ანალიზი;
- შედეგების და დასკვნების პრეზენტაცია.

1.5 ძირითადი საკვლევი კითხვები/ქვეკითხვები

კვლევის დაწყებამდე განვსაზღვრე, თუ რა იქნებოდა ჩემი კვლევის მთავარი ორიენტირი, რისი მიხედვითაც შევიმუშავე ძირითადი საკვლევი კითხვა:

- როგორ შევუწყო ხელი მოსწავლეთა ჩრთულობის გაუმჯობესებას ისტ-ის გაკვეთილზე?
- როგორ დამეხმარება ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება V კლასის მოსწავლეთა ჩრთულობის ხარისხის გაზრდაში ისტ-ის გაკვეთილზე?

ძირითადი კითხვებიდან გამომდინარე დავსვი ქვეკითხვები, რომელზეც პასუხი გაეცემა კვლევის დასასრულს, დასკვნაში.

- რამდენად აქვთ მოსწავლეებს სწავლის სურვილი?
- აქვთ თუ არა მოსწავლეებს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) სწავლის მოტივაცია?
- რამდენად მიზნობრივად იყენებენ მოსწავლეები საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს?
- ვგეგმავ თუ არა გაკვეთილებს ისე რომ მოსწავლეებმა მიზნობრივად გამოიყენონ საკომუნიკაციო ტექნოლოგიები?
- ვაძლევ თუ არა ისეთ დავალებებს სადაც მოსწავლე საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს მხოლოდ საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოიყენებს?
- რამდენად მრავალფეროვან აქტივობებს სთავაზობს მასწავლებელი მოსწავლეებს?
- რას აკეთებს მასწავლებელი მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად?
- რა აქტივობები უღვიძებს მოსწავლეს სწავლის ინტერესს?
- აძლევენ თუ არა მშობლები მოსწავლეებს სწავლის სტიმულს?
- რამდენად არის ოჯახი დაინტერესებული ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) შესწავლით?

თავი II

ლიტერატურის მიმოხილვა

ტექნოლოგიების განვითარების პარალელურად ხდება მისი აქტიური ჩართვა სასწავლო პროცესში. საგანი - ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ისწავლება დაწყებით საფეხურზე, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლეებში მედია და ციფრული წიგნიერების დონის ამაღლებას. საგანი მოსწავლეებს ეხმარება ტექნოლოგიების დაუფლებაში და ამ ტექნოლოგიების გამოყენებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარებაში, როგორც სხვადასხვა საგანთან ინტეგრირებისას ასევე ცალკე სწავლებისას. [4]

საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში მკვეთრად ამაღლებს სწავლების ხარისხს მოკლე დროში. მასწავლებელს ეძლევა საშუალება განახორციელოს სწავლებისადმი **შემოქმედებითი** მიდგომები. მასწავლებელი, რომელიც იყენებს ტექნოლოგიებს სწავლების პროცესში, მიისწრაფვის სიახლეებისაკენ. ტექნოლოგიების ინტერაქტიულობა და თვალსაჩინოება უზრუნველყოფს სასწავლო მასალის ვიზუალიზაციას, რაც აადვილებს საგნის გაგებასა და გააზრებას, ეს კი მეტად მნიშვნელოვანია დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის, ისინი თვალთ ალქმულს უკეთ შეიმეცნებენ. თუმცა გასათვალისწინებელია ტექნოლოგიების ზომიერად გამოყენება დაწყებით კლასებში. გასათვალისწინებელია მოზარდის **ასაკობრივი თავისებურებები**, რის მიხედვითაც უნდა განისაზღვროს მოსწავლის კომპიუტერთან მუშაობის დროის ხანგრძლივობა. კიდევ უფრო დიდ სირთულესთან გვაქვს საქმე მოზარდის ისეთ საიტებთან ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, რომელიც მის ასაკს არ შეეფერება და ზიანის მოტანა შეუძლია, ამ დროს მოზარდი ექცევა მისი ფსიქოლოგიური ზემოქმედების ქვეშ და საჭიროა მავნე ზემოქმედებისგან დასაცავი გზების ძიება.

მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებები. კვლევების მიხედვით, შუა ბავშვობაში (8-11 წელი) მიღებული ნეგატიური გამოცდილება - ბავშვის შესაძლებლობებისა და ინტერესების გაუთვალისწინებლობა, მისდამი არაადეკვატური მოლოდინები, არათანმიმდევრული აღზრდის სტილი ბავშვის ემოციურ და ქცევის პრობლემებს, ასევე სწავლისადმი მოტივაციის დაქვეითებას უწყობს ხელს.

„8-11 წლის ბავშვის განვითარების თავისებურებები:

- თანატოლებთან ურთიერთობისა და თამაშის უფრო მეტი ინტერესი აქვს;
- უკვე ყავს რამდენიმე გამორჩეული მეგობარი;
- იყალიბებს მორალურ ღირებულებებს და შეუძლია იმსჯელოს მისაღებ და მიუღებელ, „კარგ“ და „ცუდ“ ქცევაზე;
- შფოთავს მნიშვნელოვანი ადამიანის მოლოდინის გაცრუების გამო;
- ძლიერი პასუხისმგებლობის გრძნობა აქვს და ცდილობს შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები;
- ლოგიკურად მსჯელობს და უვითარდება კონკრეტული ოპერაციების დონეზე პრობლემის გადაჭრის უნარები.“ [6]

მოტივაცია. „მოტივაცია არის იმპულსი/სურვილი, შინაგანი პროცესი, რომელიც ადამიანს ქმედებებისკენ უბიძგებს და ამქმედებებს გარკვეული მიზნის მიღწევისაკენ მიმართავს“ (გვ.3) [5] მოსწავლე რომელიც ბევრს მეცადინეობს და ორიენტირებულია კარგი ნიშნების მიღებაზე, ის მაღალმოტივირებულია. სწორედ მოტივაცია განაპირობებს მოსწავლის შესაძლებლობებისა და უნარების რეალიზებას და სისტემატიური მუშაობა განაპირობებს მაღალ აკადემიურ მოსწრებას.


განასხვავებენ შინაგან და გარეგან მოტივაციას. „შინაგანი მოტივაცია არის კონკრეტული ქმედებებისაკენ სწრაფვა, რომელიც შიგნიდან არის გამოწვეული ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების თუ რაღაცის აღმოჩენის სურვილით“, ხოლო „გარეგანი მოტივაცია არის კონკრეტული ქმედებებისაკენ სწრაფვა, რომელიც გამოწვეულია გარე ფაქტორებით, გარკვეული ჯილდოს ან აღიარების მოპოვების სურვილით“ (გვ.4-5) [5]

შინაგანი მოტივაციის ამაღლებისათვის შესაძლებელია მასწავლებელმა გამიყნოს სხვადასხვა სტრატეგია: მოსწავლეების ინტერესების მიხედვით შეირჩეს დავალება; მოსწავლეს მიეცეს დიფერენცირებული დავალება და არჩევანის უფლების მინიჭება; საკუთარი აზრის თამამად გამოხატვის შესაძლებლობა; მოსწავლეებში შინაგანი მოტივაციის გაღვიძება აკადემიურ შედეგებზე დადებით გავლენას ახდენს, ამიტომ აუცილებელია მასწავლებელი იყენებდეს გარეგან მოტივაციის სტრატეგიებსაც, მაგალითად, გარკვეული ჯილდო (მაღალი შეფასება ან

შემაჯამებელი ტესტიდან გათავისუფლება), შეჯიბრების მოწყობა (კლასში, პარალელურ კლასებში).

მოტივაციაზე საუბრისას შეუძლებელია არ ვახსენოთ აბრაჰამ მასლოუს „ადამიანური მოტივაციის თეორია“, რომლის მიხედვითაც ადამიანის მოთხოვნილებები იერარქიულად არის დალაგებული, მოთხოვნილებათა იერარქიას კი პირამიდის სახე აქვს, სადაც ძირითადი მოთხოვნილებები პირამიდის ძირშია მოქცეული. ადამიანს უფრო მაღალი მოთხოვნილება მაშინ უჩნდება, როდესაც მასზე დაბალი საფეხურის მოთხოვნილება მეტნაკლებად მაინცაა აქვს დაკმაყოფილებული.

მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიას: ადამიანს ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებები უჩნდება ფიზიკური გადარჩენისათვის. ასეთ მოთხოვნილებებში შედის საკვები, წყალი, სამოსი, სითბო; უსაფრთხოების დაცვის და წესრიგის მოთხოვნილებები ჩნდება მას შემდეგ, რაც



დაკმაყოფილებულია ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებათა არა ნაკლებ 85%; როდესაც დაკმაყოფილებულია უსაფრთხოების მოთხოვნილების 70%, ადამიანს მიკუთვნებულობისა და სიყვარულის მოთხოვნილება უჩნდება, ეს არის მოთხოვნილება გიყვარდეს და უყვარდე, მიგიღონ ჯგუფის წევრად; შემდეგ მოდის დაფასების მოთხოვნილება, პატივისცემისა და აღიარების მოთხოვნილება (დაფასება, ყურადღება, გქონდეს დადებითი თვითშეფასება); ამას მოსდევს თვითრეალიზების, თვითგამოხატვის, საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზაციის მოთხოვნილება. მასლოუს სჯეროდა, რომ ყველა ადამიანი მიისწრაფის თვითაქტუალიზაციისკენ, მაგრამ 1% ზე ნაკლები თუ აღწევს მას.

არის შემთხვევები, როდესაც ადამიანის ქცევას წარმართავს ზედა საფეხურის მოთხოვნილება, ისე რომ მას არ აქვს დაკმაყოფილებული ქვედა საფეხურის მოთხოვნილება, ამიტომ ადამიანის ქცევა რთული ფენომენია და გარეგნულად ერთსა და იმავე ქცევას შესაძლოა სხვადასხვა მოტივაცია ედოს საფუძვლად. მაგალითად, ნაწილი მოსწავლისთვის კარგად სწავლის მოტივია დასჯის შიში, ზოგისთვის - ინტერესი, ნაწილის მოსწავლისთვის - აღიარების მოთხოვნილება.

მასლოუს თეორიის მიხედვით ზემოთ განხილულ გარეგან მოტივაციას ქცევა აღძრავს პირველი ორი - ფიზიოლოგიური და უსაფრთხოების მოთხოვნილების დონეზე. დანარჩენ სამ დონეზე კი მას შინაგანი მოტივაცია უდევს საფუძვლად.

ეფექტური სწავლება მოსწავლის მოტივაციის დონეზეა დამოკიდებული. სწავლის მოთხოვნილება შესაძლოა სხვადასხვა დონის მოტივაციამ აღძრას - მასლოუს თეორიის მიხედვით, რაც დამოკიდებულია ბავშვის ასაკსა და ინდივიდუალურ თავისებურებაზე. დაწყებით კლასში მოსწავლისათვის მნიშვნელოვანია ჯერ უსაფრთხოების, მერე კი მიკუთვნებულობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

„მასლოუს მოტივაციის იერარქიული თეორიის ცოდნა საშუალებას აძლევს პრაქტიკოს მასწავლებელს, დაადგინოს, იერარქიის რომელ საფეხურზეა მოსწავლე, განსაზღვროს, რა მოტივები უდევს საფუძვლად სწავლას, ამის შედეგად შეიმუშაოს სწავლის ადეკვატური სტრატეგიები და უზრუნველყოს სასწავლო პროცესში მოსწავლის ჩართულობა.“ [1]

მოსწავლის ჩართულობა სასწავლო პროცესში. საგანმანათლებლო პროცესი მოსწავლეთა განსაკუთრებულ აქტიურობას მოითხოვს, როგორც განათლების მიღების ასევე თანატოლთა სწავლების პროცესში. გაკვეთილზე ჯგუფური/წყვილებში მუშაობისას მოსწავლეები ერთმანეთს ეხმარებიან სხვადასხვა საკითხის უკეთ გაგებაში, უნარ-ჩვევების განვითარებასა და დამოკიდებულებათა ჩამოყალიბებაში, ყოველივე ეს თავისთავად გულისხმობს საგაკვეთილო პროცესში მოსწავლის მონაწილეობას. როდესაც მოსწავლე ჩართულია სწავლის პროცესში, ის მნიშვნელოვან ძალისხმევას იჩენს დავალების შესრულებისას, ზრუნავს შესრულებული დავალების ხარისხზე და შესრულებულ სამუშაოს მისთვის დიდი ღირებულება აქვს.

ამრიგად, სხვადასხვა ლიტერატურის დამუშავებისას ჩემთვის ნათელი გახდა, რომ საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობასთან დაკავშირებული პრობლემების ერთ-ერთი მიზეზი ტექნოლოგიებთან დაკავშირებული უნარ-ჩვევების ნაკლებად ფლობაა და მას გაუმჯობესება სჭირდება სათანადო აქტივობებით.

თავი III კვლევის დიზაინი

3.1 კვლევის სამიზნე ჯგუფი

ჩემს სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს V-ა კლასის 27 მოსწავლე, 27 მშობელი და 3 მასწავლებელი შემდეგი საგნის: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ინგლისური ენა.

სამიზნე ჯგუფი:

- მოსწავლეები
- მასწავლებლები
- მშობლები

კვლევაში გამოყენებულ იქნა შერჩევის შემდეგი ტიპები:

სრული შერჩევა - გამოვიყენე სკოლის V კლასის მოსწავლეების ანკეტირებასა და ტესტირებაში, იმავე კლასის მშობლის აზრის გასაგებად საკვლევ საკითხთან დაკავშირებით.

მიზნობრივი შერჩევა - საკვლევ პრობლემის შესასწავლად დაიგეგმა ანკეტირება სკოლაში არსებულ 3 მასწავლებელთან.

მიზნობრივი შერჩევა ფოკუს-ჯგუფისთვის - კვლევის ფარგლებში დაიგეგმა ფოკუს ჯგუფი V კლასის 8 მოსწავლესთან, რომლებიც, აზრის გასაგებად საკვლევ საკითხთან დაკავშირებით, მარტივი შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეირჩა;

3.2 კვლევის გეგმა და ვადები

აქტივობა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
საკვლევო თემის შერჩევა	✓					
მოსწავლეებზე დაკვირვება და ანალიზი	✓	✓	✓	✓	✓	
კვლევის მიზნისა და ამოცანების შემუშავება	✓					
კვლევის სავარაუდო გეგმის შემუშავება	✓					
სამიზნე ჯგუფის ჩამოყალიბება	✓					
ლიტერატურის მოძიება		✓	✓	✓	✓	
ფოკუს-ჯგუფი მოსწავლეებთან		✓				
ფოკუს-ჯგუფის ანალიზი		✓				
კითხვარების შედგენა ანკეტირებისათვის		✓			✓	
მოსწავლეთა ანკეტირება		✓			✓	
მშობელთა ანკეტირება		✓				
მასწავლებელთა ანკეტირება		✓				
მონაცემთა ანალიზი			✓		✓	
სავარაუდო ინტერვენციების დაგეგმვა		✓				
ინტერვენციების განხორციელება		✓	✓	✓	✓	
შედეგების ანალიზი				✓	✓	
კვლევის გაზიარება/პრეზენტაცია						✓
კვლევის გამოქვეყნება						✓

3.3 კვლევის მეთოდები

კვლევის მიზნისა და ამოცანების შესასრულებლად დავეგეგმე სხვადასხვა აქტივობები, დავიწყე ინფორმაციისა და მონაცემების შეგროვებით, რა დროსაც გამოვიყენე კვლევის რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდი, ინსტრუმენტად კი - უბრალო დაკვირვება, ანკეტირება, კითხვარები, ფოკუს ჯგუფის მეთოდი.

რაოდენობრივი კვლევა - სამიზნე ჯგუფში ანკეტირების ჩასატარებლად შევიმუშავე კითხვარი მოსწავლეებისათვის დახურული კითხვებით. ანკეტირების დასაწყისში მოსწავლეებს გავაცანი კითხვარის შევსების წესი. რის შემდეგაც მოსწავლეებმა ინდივიდუალურად შეავსეს კითხვარები.

დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა პრობლემა რომლის გადასაჭრელად დავეგეგმე სხვადასხვა აქტივობები, მათ შორის ინფორმაციის და მონაცემების შეგროვება. პროცესი წარმართე კვლევის როგორც თვისობრივი, ასევე რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებით. თვისობრივში გამოვიყენე უბრალო დაკვირვება, თუ რამდენად შეუძლიათ მოსწავლეებს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში. დაკვირვება არის მარტივი და პრაქტიკული მეთოდი, რომელიც მნიშვნელოვანია, როგორც კვლევის საწყის ეტაპზე, ასევე მიმდინარეობისას.

ასევე გამოვიყენე ფოკუს - ჯგუფი. ჩავატარე ფოკუს-ჯგუფი მოსწავლეებთან, რაც დამეხმარა დამედგინა კონკრეტულად რა უნარების გაუმჯობესებას საჭიროებდნენ ჩემი მოსწავლეები.

რაოდენობრივი კვლევის მეთოდებიდან გამოვიყენე ანკეტირება. ანკეტირება მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და მშობლებთან. შედგენილ იქნა კითხვარები, რომლებიც დაურიგდათ მათ, რათა გამეგო მათი დამოკიდებულება ამ საკითხთან დაკავშირებით. მეთოდის უპირატესობა მდგომარეობდა იმაში, რომ საშუალება მომეცა მიმელო კონკრეტული ინფორმაცია პრობლემის გამომწვევი მიზეზების შესახებ. მასწავლებლებისგან მოვისმინე ასევე პრობლემის შესაძლო გადაჭრის გზები, რაც დამეხმარება პრობლემის მოგვარებაში.

- უბრალო დაკვირვება

- ანკეტირება მოსწავლეებთან
- ფოკუს-ჯგუფი მოსწავლეებთან (პრე)
- ანკეტირება მშობლებთან
- ანკეტირება მასწავლებლებთან

თავი IV კვლევის შედეგები

4.1 მონაცემთა ანალიზი

რაოდენობრივი მონაცემთა ანალიზი. ანკეტირება ჩავატარე V^ა კლასის მოსწავლეებთან კვლევის დასაწყისში და ინტერვენციების შემდეგ. ანკეტირებისთვის გამოვიყენე - სრული შერჩევა. კითხვარის [\(დანართი 1.\)](#) შედეგაში დამეხმარა უბრალო დაკვირვება.

ანკეტირების ჩატარების მიზანი იყო გამეგო მოსწავლეთა დამოკიდებულება ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საგნის სწავლებასთან დაკავშირებით. ანკეტირებაში მონაწილეობა მიიღო ყველა (27-მა) მოსწავლემ. ანკეტირების შედეგები წარმოდგენილია დიაგრამების სახით [\(დანართი 6\)](#).

კვლევის დასაწყისში ანკეტირების შედეგებმა აჩვენა რომ მოსწავლეების უმრავლესობისთვის არ არის გათვალისწინებული ინტერესები და შესაძლებლობები. დიაგრამაზე მოცემული სტატისტიკისა და კომენტარების მიხედვით იკვეთება, რომ მოსწავლეებისთვის ისტ-ის გაკვეთილი საინტერესოა, მათთვის ახსნილი გაკვეთილის გასაგებია, ისტ-ის სწავლება საჭიროა და შემდეგშიც გამოადგებათ. მათ მოსწონთ წყვილებში მუშაობა თუმცა სავარჯიშოები და სწავლების ხერხები ერთფეროვნად მიაჩნიათ.

ანკეტირების შემდეგ მოსწავლეებზე განხორციელდა ფოკუსირებული დაკვირვება და საკვლევი საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით განხორციელდა ფოკუს ჯგუფი მოსწავლეებთან.

ფოკუს-ჯგუფი მოსწავლეებთან

მარტივი შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეირჩა ფოკუს ჯგუფი მოსწავლეებთან, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 8 მოსწავლემ. ფოკუს-ჯგუფის მიზანი იყო გამეგო მოსწავლეებს გაკვეთილის რომელი ნაწილი მოწონთ მეტად და რომელ აქტივობაში ერთვებიან მეტად. მოხდა შეხვედრის მიზნისა და სადისკუსიო გეგმის გაცნობა [\(დანართი 2\)](#), გაიმართა დისკუსია საკვლევ საკითხთან დაკავშირებით.

მოსწავლეებთან ფოკუს-ჯგუფის ჩატარების შედეგად გამოვლინდა, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა ნაკლებად ახერხებს დამოუკიდებლად დავალების შესრულებას საგაკვეთილო პროცესში, მოსწონს გაკვეთილის დასაწყისი და როდესაც დავალების სირთულეს აწყდება ცდილობს თავის არიდებას (ამ დროს ცდილობს კომპიუტერის გართობის მიზნით გამოყენებას).

ანკეტირება მასწავლებლებთან

მასწავლებელთა ანკეტირებაში მონაწილეობდა V^ა კლასის 3 მასწავლებელი, რომელთა შერჩევა მოხდა მიზნობრივად, რადგან მაინტერესებდა ისტ-ის საგანთა კავშირში მყოფი საგნების (ქართული ენა, მათემატიკა, ინგლისური ენა) მასწავლებლების აზრი და მსურდა გამეზიარებინა მათი გამოცდილება [\(დანართი 3\)](#).

მასწავლებელთა ანკეტირების შედეგად გამოვლინდა, რომ მასწავლებელთა უმრავლესობა არ იყენებს გაკვეთილზე კომპიუტერს, რომელიც მრავალფეროვანი რესურსის შეთავაზების საშუალებას იძლევა, შესაბამისად მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად იყენებენ ტრადიციულ მეთოდს. ხშირ შემთხვევაში ასეთი გაკვეთილი ერთფეროვანია და მოსწავლეთა ჩართულობაც ნაკლებია. რაც შეეხება სახელმძღვანელოებს, ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეებს მრავალფეროვანი სავარჯიშოებით და მასწავლებლებს ხშირად უწევთ დამხმარე სახელმძღვანელოების გამოყენება [\(დანართი 8\)](#).

ზოგიერთმა მასწავლებელმა აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესში იყენებს პრობლემაზე ორიენტირებულ გაკვეთილს, თუმცა პირველად ჩატარების დროს მოსწავლეებს გაუჭირდათ მსჯელობა-ანალიზი და თავი ვერ გაართვეს დავალებებს,

შემდეგ მუშაობის პროცესში დარწმუნდნენ, რომ ეს მეთოდი მხოლოდ დადებითად მოქმედებდა მოსწავლეთა სააზროვნო უნარების განვითარებაზე.

მასწავლებლებთან ჩატარებულმა ანკეტირებამ აჩვენა, რომ ამ პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა საგაკვეთილო პროცესი და სავარჯიშოები გახდეს მრავალფეროვანი.

ანკეტირება მშობლებთან

მშობელთა ანკეტირება სრული შერჩევით განხორციელდა V^ა კლასის 27 მშობელთან. კითხვარის მიზანი იყო, გამეცნობიერებინა როგორ გავაუმჯობესო მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი ისტ-ის გაკვეთილზე. გამეგო რა დამოკიდებულება აქვთ მათ შვილებს ისტ-ისადმი, რა დროს ანდომებენ გაკვეთილის მომზადებას ([დანართი 4](#)).

მშობლებთან ანკეტირების შედეგად გამოვლინდა, რომ მოსწავლეები თეორიულ მასალას მცირე დროს უთმობდნენ, კმაყოფილდებოდნენ მასწავლებლის მიერ მიწოდებული ინფორმაციით. ([დანართი 7](#))

4.2 კვლევის მიგნებები და ნაკლოვანებები

კვლევის პროცესში გამოყენებული სხვადასხვა მეთოდებისა (ანკეტირება მოსწავლეებთან, ფოკუს ჯგუფი მოსწავლეებთან, ანკეტირება მშობლებთან, ანკეტირება მასწავლებლებთან) და მიღებული შედეგების საფუძველზე გამოიკვეთა ***კვლევის ძირითადი მიგნებები:***

- მასწავლებელი ნაკლებად ითვალისწინებდა მოსწავლეთა ინტერესებს და შესაძლებლობებს;
- სავარჯიშოები და სწავლების ხერხები ერთფეროვნადაა მიჩნეული;
- მოსწავლეთა უმრავლესობა ნაკლებად ახერხებს დამოუკიდებლად დავალების შესრულებას საგაკვეთილო პროცესში, მოსწონს გაკვეთილის

დასაწყისი და როდესაც დავალების სირთულეს აწყდება ცდილობს თავის არიდებას (ამ დროს ცდილობს კომპიუტერის გართობის მიზნით გამოყენებას);

- მასწავლებელთა უმრავლესობა არ იყენებს გაკვეთილზე კომპიუტერს, რომელიც მრავალფეროვანი რესურსის შეთავაზების საშუალებას იძლევა, შესაბამისად მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად იყენებენ ტრადიციულ მეთოდს;
- მოსწავლეები თეორიულ მასალას მცირე დროს უთმობდნენ, კმაყოფილდებოდნენ მასწავლებლის მიერ მიწოდებული ინფორმაციით.

კვლევის ნაკლოვანებად შეიძლება ჩაითვალოს ყველაფერი, რამაც ხელი

შემიშალა კვლევის განხორციელების პროცესში:

- ჩემთვის ეს საქმიანობა პირველი იყო და მუშაობის პროცესში წავაწყდი გარკვეულ წინააღმდეგობებს. ძალისხმევა დამჭირდა მშობლების დასაინტერესებლად, რომ ჩართულიყვნენ მუშაობის პროცესში.
- რთული იყო კითხვარების შედგენა, განსახორციელებელი აქტივობების შერჩევა, განხორციელება და შეფასება.
- დიდი დრო დაჭირდა კვლევის ანგარიშის გაწერას.
- მოსწავლეთა ნაწილმა ზერელე დამოკიდებულება გამოავლინა გამოკითხვის დროს.

თავი V ინტერვენციები

5.1 ინტერვენციების დაგეგმვა/განხორციელება და აღწერა

მონაცემთა შეგროვების შემდეგ გამოიკვეთა პრობლემა, რომ მოსწავლეების ინტერესები და შესაძლებლობები ნაკლებად არის გათვალისწინებული საგაკვეთილო პროცესში, მოსწავლეთა უმრავლესობა ნაკლებად ახერხებს დამოუკიდებლად დავალების შესრულებას საგაკვეთილო პროცესში, მოსწონს გაკვეთილის დასაწყისი და როდესაც დავალების სირთულეს აწყდება ცდილობს თავის არიდებას (ამ დროს ცდილობს კომპიუტერის გართობის მიზნით გამოყენებას). ამ საკითხებთან დაკავშირებით დავეგეგმე წყვილებში მუშაობა დიფერენცირებული რესურსების საშუალებით (მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით), რამაც ხელი შეუწყო მოსწავლეთა ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში. შემდეგ კი დავეგეგმე პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი, პრობლემის იდენტიფიცირების, შესაძლო ალტერნატივებისა და მათი გადაჭრის გზების ძიების უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით.

თითოეული ინტერვენცია მოიცავდა საკითხებს, რომლებსაც ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმა დაწყებით საფეხურზე.

ინტერვენციის პირველი ეტაპზე ინტერვენციების მიზანი იყო მოსწავლეებში ინტერესის გათვალისწინება, მათი ჩართულობის მიზნით ჯგუფებში/წყვილებში მუშაობის უნარის განვითარება, რომელიც განვახორციელე თანამშრომლობითი უნარის განვითარების სწავლებით.

გაკვეთილზე დავიწყე მოსწავლეებისთვის სხვადასხვა სირთულის სასწავლო რესურსის მიწოდება, სამუშაოს დაწყების წინ ვთხოვდი დავალების გაცნობას/გააზრებას, საჭიროების შემთხვევაში კითხვის დასმას. შემდეგ ვთხოვდი კომპიუტერთან წყვილებში შესრულებინათ სამუშაო, ამოცანის პირობის გათვალისწინებით. მოსწავლეები ცდილობდნენ თანამშრომლობით სამუშაოს შესრულებას ([დანართი5](#)).

I ეტაპი - 1 თვეს (თებერვალი) მოსწავლეებმა წყვილებში მასწავლებლის დახმარების გარეშე დაიწყეს პრაქტიკულ სამუშაოზე მუშაობა. II ეტაპი - 2 თვეს (მარტი) თემის დასასრულს შევასრულებინე დაოუკიდებელი პრაქტიკული სამუშაო წყვილებში.

III ეტაპი - 3 თვეს (აპრილი) უკვე ინდივიდუალურად ვამუშავე კომპიუტერთან და შევასრულებინე დამოუკიდებელი სამუშაო. შედეგის გაუმჯობესების მიზნით გაკვეთილზე გავაგრძელეთ მსგავსი ტიპის აქტივობების გამოყენება.

ინტერვენციის მეორე ეტაპზე მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებითა და მათი ჩართულობის მიზნით შევთავაზე მონაწილეობა მიეღოთ სასწავლო რესურსების შექმნაში. მოსწავლეებთან ერთად გათვლის პრინციპით შევადგინე 4-5 კაციანი ჯგუფები, რომელთაც დაევაღათ ერთი კვირის განმავლობაში შეექმნათ სასწავლო ელექტრონული რესურსი პროგრამა Ms Word-ში, შესწავლილი ბრძანებების ერთობლიობით და წარმოედგინათ ამობეჭდილი (თაბახის ფურცელზე). შემდეგ კვირაში (მაისის თვეში) მოსწავლეების მიერ მომზადებული რესურსების საშუალებით საკლასო სამუშაო განვახორციელე, სადაც ჯგუფებში მოხდა ნამუშევრის გაცვლა და საგაკვეთილო პროცესში შექმნეს ელექტრონულად. აქტივობამ მეტად გააქტიურა მოსწავლეები, გაიზარდა მოტივაცია, მიზანი ერთი იყო, მოსწავლეებს შეექმნათ ელექტრონული სასწავლო რესურსი.

ინტერვენციის მესამე ეტაპზე დავიწყე პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილების დაგეგმვა/ჩატარება, რომელიც მოითხოვდა პრობლემის იდენტიფიცირებას, მისი გადაჭრის გზების ძიებას, შერჩეული სტრატეგიების განხორციელებას.

პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი ეხებოდა ელექტრონულ ცხრილებში Ms Excel ფორმულების გამოყენებას და გამოთვლების შესრულებას.

მოსწავლეებს დაურიგდათ ამოცანის პირობა, რომლიესაც უნდა გაცნობოდნენ, მოსწავლეებმა ჩამოაყალიბეს პრობლემა „ცხრილის შექმნა, მონაცემების შეტანა, ფორმულების ჩასმა და გამოთვლების შესრულება“.

მოახდინეს პრობლემის ვიზუალიზაცია - კომპიუტერში პროგრამის (MS Excel) საშუალებით შეასრულეს ამოცანა, შექმნეს ცხრილი და შეიტანეს მოცემული მონაცემები, რომლის მიხედვით შეადგინეს ფორმულები და გამოთვალს მონაცემები.

ამ გაკვეთილის ფარგლებში მოსწავლეებმა მოახერხეს პრობლემის ჩამოყალიბება, იმსჯელეს პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა ვარიანტებზე, შეარჩიეს საუკეთესო და გადაჭრეს პრობლემა ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

ჩატარებულ ინტერვენციებზე პასუხისმგებელი ვიყავი მე.

5.2 ინტერვენციების შედეგები ანალიზი


ინტერვენციის დასრულების შემდეგ ინტერვენციის პროცესში გამოყენებული მეთოდების ეფექტურობის შესაფასებლად ჩავატარე დამოუკიდებელი სამუშაოების ანალიზი.

ჩატარებული დამოუკიდებელი სამუშაოების ანალიზმა [\(დანართი 9.\)](#) აჩვენა, რომ 1 თვეს 19 მოსწავლემ მასწავლებლის დახმარების გარეშე პრაქტიკულ სამუშაოზე იმუშავა, მისი ბოლომდე შესრულება 8 მოსწავლემ შეძლო;

2 თვის ბოლოს კი შედეგი საგრძნობლად გაუმჯობესდა წყვილებში დამოუკიდებლად მუშაობა მოახერხა 11-მა მოსწავლემ, ხოლო ბოლომდე ამოხსნა შეძლო- 16-მა მოსწავლემ;

ხოლო III ეტაპზე ინდივიდუალურად ვამუშავე კომპიუტერთან და შევასრულებინე დამოუკიდებელი სამუშაო, სამუშაო ბოლომდე შეასრულა 23 -მა მოსწავლემ, ხოლო 4 მოსწავლემ იმუშავა მაგრამ ვერ დაასრულა.

დიაგრამა. ანალიზის შედეგები



დაკვირვებამ აჩვენა, რომ მოსწავლეთა ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში საგრძნობლად გაიზარდა.

5.3. დასკვნა

ჩემს მიერ ჩატარებული პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მოსწავლეების ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინება საგაკვეთილო პროცესში დაეხმარა მოსწავლეებს ტექნოლოგიების საშუალებით წყვილებსა თუ დამოუკიდებლად პრაქტიკული სამუშაოს შესრულებაში. გაიზარდა მოსწავლეების მოტივაცია და ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში. ხოლო პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი დაეხმარა მოსწავლეებს პრობლემის იდენტიფიცირების, მათი გადაჭრის გზების ძიებასა და საბოლოო დასკვნამდე მისვლაში. პრაქტიკული სამუშაოს განხილვა და შესრულება ტექნოლოგიების საშუალებით მათთვის სახალისო და ინტერაქტიული აღმოჩნდა, უფრო მეტად გაუღვივდათ ინტერესი ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლებისადმი.

ვთვლი, რომ კვლევა ჩატარდა ეთიკური ნორმების დაცვით. კვლევა იყო მნიშვნელოვანი როგორც მოსწავლეებისათვის, ასევე ჩემთვის. ვფიქრობ, კვლევამ რეალურად გამოავლინა რა უჭირდათ მოსწავლეებს. ნათლად დამანახა პრობლემის არსი და გამოავლინა ამ პრობლემის გამომწვევი ძირითადი მიზეზები, რომელთა გადაჭრაც არსებულ რეალობაში შესაძლებელი აღმოჩნდა ჩვენი ერთობლივი მუშაობით: მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები. ჩვენ ერთად ვმუშაობდით პრობლემის აღმოსაფხვრელად, მოსწავლეების მოტივაციისა და საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის დონის ასამაღლებლად. სასურველია ეს თანამშრომლობა გაგრძელდეს მომავალშიც, რომ არ შეწყდეს პრობლემების დაძლევა.

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა მნიშვნელოვანი და ღირებული აქტივობაა მასწავლებლისათვის. ის საშუალებას იძლევა ჩაუღრმავდე, შეაფასო, შეაჯამო საკუთარი პედაგოგიური მოღვაწეობა. გააანალიზო, დაფიქრდე და აღმოაჩინო პრობლემა, რომელიც გარკვეულ წილად აფერხებს მოზარდის განვითარებას და

სწავლა-განათლების პროცესს. კვლევა დროის გარკვეულ მონაკვეთზე გაწერილი და წინასწარდაგეგმილი სხვადასხვა აქტივობათა ერთობლიობაა, რომელიც მნიშვნელოვან ძალისხმევას მოითხოვს.

მოსწავლეთა სწავლის პროცესის მონიტორინგი, შედეგების ანალიზი აჩვენებდა, რომ პროგრესი იყო. ჩემი აზრით შედეგების გაუმჯობესება პრობლემების გამოსწორებისათვის შერჩეულმა და განხორციელებულმა ინტერვენციებმა განაპირობეს. მომავალშიც გავაგრძელებ მონიტორინგს, როგორ გაგრძელდება ეს პროცესი თითოეულ მოსწავლეში.

კვლევა წარმატებული აღმოჩნდა ამ კონკრეტულ კლასში და ვფიქრობ კვლევის მიგნებების გამოყენება სხვა კლასისთვისაც შესაძლებელია.

5.4 რეკომენდაციები

განხორციელებული პრაქტიკის კვლევის შედეგად გასათვალისწინებელი რეკომენდაციები:

- მასწავლებლებმა მეტი ყურადღება დაუთმონ მოსწავლეთა ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში;
- მასწავლებლებმა უნდა ჩაატარონ მრავალფეროვანი გაკვეთილები, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით სხვადასხვა აქტივობებით;
- მასწავლებლებმა შესთავაზონ მოსწავლეებს პრაქტიკული სამუშაოები გამდიდრებული სასწავლო რესურსების გამოყენებით, რაც მათ დაეხმარებათ წამოჭრილი პრობლემის გააზრებასა და მათი გადაჭრის გზების ძიებასა და ცხოვრებისეული პრობლემების მოგვარებაში.
- მასწავლებელი აქტივობებს უნდა გეგმავდეს მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით;
- სასურველია მოსწავლე თავად ჩაერთოს გაკვეთილის დაგეგმვის დროს და შემოგვთავაზოს იდეები, რომელიც მათთვის საინტერესო იქნება, ეს გაზრდის ჩართულობის ხარისხს საგაკვეთილო პროცესში

ბიბლიოგრაფია/გამოყენებული ლიტერატურა

- [1] გაზეთი მასწავლებელი. აბრაცამ მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქის თეორია და პედაგოგია - მანანა ბოჭორიშვილი (ლინკი შემოწმებულია 15.02.2019) <http://mastsavlebeli.ge/uploads/resursebi/manana%20bochoriSvili%20kk.pdf>
- [2] გაზეთი მასწავლებელი. სწავლების მოტივაციის მარტივი გზები - ირმა კახურაშვილი (17 იანვარი, 2019) <http://mastsavlebeli.ge/?p=20244> (ლინკი შემოწმებულია 28.02.2019)
- [3] ეროვნული სასწავლო გეგმის პორტალი. დაწყებითი საფეხურის ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2014; ისტ-ის საგნობრივი სტანდარტი (03.03.2016) <http://ncp.ge/files/ESG/2016-2021/XVII%20tavi%20-%20ICT.pdf> (ლინკი შემოწმებულია 17.01.2019)
- [4] ესგ - სწავლა სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციული და კონცეპტუალური ნაწილი (8.10.2018) <http://ncp.ge/files/ESG/NC%202018-2024/%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%92%20-%202018%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%207%20%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C.pdf> (ლინკი შემოწმებულია 13.02.2019)
- [5] მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი - სწავლება და შეფასება - დამხმარე სახელმძღვანელო - II ნაწილი
- [6] Word Vision შუა ბავშვობა - (ლინკი შემოწმებულია 05.03.2019) <https://www.wvi.org/article/%E1%83%A8%E1%83%A3%E1%83%90-%E1%83%91%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90-6%E2%80%9311-%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%91%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%96%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-0>

დანართი 1. კითხვარი მოსწავლეებისთვის

კითხვარის მიზანია გავიგო თქვენი დამოკიდებულება ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) საგნის მიმართ და გავაანალიზო რა განაპირობებს თქვენს მოტივაციას ისტ-ის სწავლებისას

1. მოგწონთ თუ არა საგანი ისტ-ის სწავლება?
ა) დიახ
ბ) არა
გ) ნაწილობრივ
დ) არ ვიცი
2. როგორ ფიქრობთ, საინტერესოა თუ არა ისტ-ის გაკვეთილი?
ა) საინტერესოა
ბ) ნორმალურია
გ) არ არის საინტერესო
დ) არ ვიცი
3. როგორ ფიქრობთ გაკვეთილზე გათვალისწინებულია თქვენი ინტერესები და შესაძლებლობები?
ა) დიახ
ბ) ნაწილობრივ
გ) არა
დ) არ ვიცი
4. რა დროს უთმობთ სახლში ისტ-ის მომზადებას?
ა) ნახევარი საათი.
ბ) ერთი საათი.
5. გეხმარებათ თუ არა სახლში მშობელი, თუ გაგიჭირდება საშინაო დავლების შესრულება?
ა) დიახ
ბ) არა
გ) ვერ მეხმარება, დროის უქონლობის გამო
6. მასწავლებელი გიხსნით თუ არა გაკვეთილს გასაგებად?
ა) დიახ
ბ) არა
გ) ვერ გამიგია, იმიტომ რომ არ ვუსმენ
7. იყენებთ გაკვეთილზე კომპიუტერს თუ არა საგაკვეთილო მიზნით?
ა) დიახ
ბ) არა
8. გაქვთ თუ არა ჯგუფური/წყვილებში დავალებები ისტ-ის გაკვეთილზე?
ა) დიახ
ბ) არა
გ) ხანდახან
9. შეგაქვთ თუ არა მასწავლებელი, როდესაც მოეწონება თქვენი შესრულებული დავალება ან იაქტიურებთ გაკვეთილზე?
ა) დიახ
ბ) არა
გ) ხანდახან
10. თქვენი აზრით რა უნდა გააკეთოს მასწავლებელმა იმისათვის, რომ თქვენ მოგეწონოთ გაკვეთილი?

11. რა გიმლით ხელს, რომ თქვენ უკეთ ისწავლოთ ისტ-ის საგანი?

მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის!

დანართი 2. ფოკუს ჯგუფი მოსწავლეებთან

ფოკუს ჯგუფში მონაწილეობდნენ V კლასის 8 მოსწავლე.

მიზანი:

საკვლევი საკითხის შესახებ ინფორმაციის მიღება; მოსწავლეების მოსაზრებების და დამოკიდებულების განსაზღვრა;

სადისკუსიო კითხვები:

- რამდენად საინტერესოა თქვენთვის საგანი ისტ-ი?
- გაკვეთილის განმავლობაში ყველაზე მეტად რომელ ნაწილი მოგწონს - გაკვეთილის დასაწყისი, შუა ნაწილი თუ დასასრული?
- რომელ აქტივობაში მოგწონს ყველაზე მეტად ჩართვა? ან რისი კეთება გიყვარს ყველაზე მეტად გაკვეთილზე?
- რამდენად ახერხებ დამოუკიდებლად თავი გაართვა ყველა ტიპის დავალებას?
- თუ რაიმეს შესრულება გიჭირს ვის მიმართავ ყველაზე ხშირად დასახმარებლად?

დანართი 4. კითხვარი მშობლებს

ძვირფასო მშობლებო!

ეს კითხვარი დამეხმარება უკეთ გავიგო და გავაცნობიერო, თუ როგორ გავაუმჯობესო მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით საგანში ისტ-ი.

რომელ კლასში სწავლობს თქვენი შვილი? (შემოხაზეთ ერთერთი)

ა) V

ბ) VI

რა დროს უთმობს თქვენი შვილი ისტ-ის მომზადებას?

ა) ნახევარ საათს

ბ) ერთ საათს

გ) საათნახევარს

დ) დროის უქონლობის გამო ვერ ვაკონტროლებ.

შეგიძლიათ დაეხმაროთ თქვენს შვილს, თუკი მას რაიმე გაუჭირდა ისტ-ში?

ა) დიახ

ბ) არ შემიძლია

გ) ხანდახან

თქვენი აზრით, თუ თქვენს შვილს აქვს დაბალი შეფასება ისტ-ში რას უკავშირდება?

ა) ვერ სწავლობს მოსწავლე სათანადოდ

ბ) პრობლემა აქვს მასწავლებელთან

გ) გაკვეთილზე არის კლასის მართვის პრობლემა (ხმაურია, ცელქობენ

გაკვეთილზე)







ჩაწერეთ სხვა, რასაც თვლით საჭიროდ -----




მადლობა თანამშრომლობისთვის.

დანართი 5. ინტერვენციისთვის სამუშაო 1 ტესტი

ამოცანის პირობა: ტექსტურ რედაქტორში შექმენი ნიმუშის მსგავსი ცხრილები, შეიტანე ტექსტი, ციფრები და სიმბოლოები. გააფორმე ტექსტი და შეინახე ფაილი სახელწოდებით shopping.

SHOPING


№						
1	კომპიუტერი	მობ.ტელეფონი	მუსიკა	საოფისე	საკანცელარიო	\$
2	IBM	iPhone	JAZZ	PAPER	PEN-RAPITOGRAF	\$
	1000	800	100	10	87	1997
3	I7	SAMSUNG	ROCK	NOTEBOOK	RULER	\$
	1200	250	75	2.0	1.0	1528

№				
1	სავარძელი 300	დანა 17	ROM 28	\$ 345
2	მაგიდა 542	ჩანგალი 14	WINE 55	\$ 601


დანართი 6. მოსწავლეებისათვის შედგენილი კითხვარის შედეგები

დიაგრამები:


დიაგრამა 1. კითხვაზე - მოგწონთ თუ არა საგნის ისტ-ის სწავლება? მოსწავლეების პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა




დიაგრამა 2. კითხვაზე - როგორ ფიქრობთ, საინტერესოა თუ არა ისტ-ის გაკვეთილი? მოსწავლეების უმრავლესობა თვლის რომ კი.




დიაგრამა 3. კითხვაზე - როგორ ფიქრობთ გაკვეთილზე გათვალისწინებულია თქვენი ინტერესები და შესაძლებლობები? მოსწავლეების უმრავლესობა თვლის რომ ნაწილობრივ არის გათვალისწინებული.




დიაგრამა 4. კითხვაზე - რა დროს უთმობთ სახლში ისტ-ის მომზადებას? მოსწავლეების ძირითადი ნაწილი მცირე დროით შემოიფარგლება.




დიაგრამა 5. კითხვაზე - გეხმარებათ თუ არა სახლში მშობელი, თუ გაგიჭირდება საშინაო დავალების მომზადება? მოსწავლეების უმრავლესობა დამოუკიდებლად მეცადინეობს, მცირე ნაწილს ეხმარება მშობელი.




დიაგრამა 6. კითხვაზე - მასწავლებელი გიხსნით თუ არა გაკვეთილს გასაგებად? მოსწავლეების უმრავლესობა თვლის რომ კი.




დიაგრამა 7. კითხვაზე - იყენებთ გაკვეთილზე კომპიუტერს თუ არა საგაკვეთილო მიზნით? 19 მოსწავლე პასუხობს რომ იყენებს, ხოლო 8 მოსწავლე არ იყენებს.



დიაგრამა 8. კითხვაზე - გაქვთ თუ არა ჯგუფური/წყვილებში სამუშაო ისტ-ის გაკვეთილზე? მოსწავლეების ძირითადი ნაწილი ამბობს კი.




დიაგრამა 9. კითხვაზე შეგაქვთ თუ არა მასწავლებელი, როდესაც მოეწონება თქვენი შესრულებული დავალება ან იაქტიურებთ გაკვეთილზე? 17 მოსწავლე აფიქსირებს დადებით პასუხს, 8 მოსწავლე ამბობს ხანდახან, ხოლო 2 მოსწავლე ამბობს არას.




დანართი 7. მშობელთა ანკეტირების შედეგები:

დიაგრამები:


დიაგრამა 1. კითხვაზე - რა დროს უთმობს თქვენი შვილი ისტ-ის მომზადებას? იკვეთება რომ მოსწავლეების ძირითადი ნაწილი მცირე დროით შემოიფარგლება.



დიაგრამა 2. კითხვაზე - შეგიძლიათ დაეხმაროთ თქვენს შვილს, თუკი მას რაიმე გაუჭირდა ისტ-ში? მშობლების უმრავლესობა ხანდახან ახერხებს დახმარების გაწევას.




დიაგრამა 3. კითხვაზე - თქვენი აზრით, თუ თქვენს შვილს აქვს დაბალი შეფასება ისტ-ში რას უკავშირდება? მშობლები ერთხმად დაბალ შეფასებას უკავშირებენ ნაკლებ მეცადინეობას.




დანართი 8. მასწავლებელთა ანკეტირების შედეგები:
დიაგრამები:

დიაგრამა 1. კითხვაზე - როგორ ფიქრობთ, მოწონთ მოსწავლეებს საგანი, რომელსაც თქვენ ასწავლით? მასწავლებლები აფიქსირებენ კის.



დიაგრამა 2. კითხვაზე - იყენებთ თუ არა გაკვეთილზე კომპიუტერს? მასწავლებლებ ხანდახან იყენებენ კომპიუტერს ან საერთოდ არ იყენებენ.



დანართი 9. დამოუკიდებელი სამუშაოების ანალიზი

	პრაქტიკულ სამუშაოზე იმუშავა	ბოლომდე შეასრულა
I ეტაპი - 1 თვეს	19	8
II ეტაპი - 2 თვეს	11	16
III ეტაპი - 3 თვეს	4	23

რეფლექსია

სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის №1 საჯარო სკოლაში განვახორციელე საკუთარი პედაგოგიური კვლევა თემაზე - „ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით V კლასის მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის გაუმჯობესება ისტ-ის გაკვეთილზე“

აღნიშნული კვლევის აქტუალობა გამოიხატებოდა იმაში, რომ ჩემს მოსწავლეებს და არამარტო ჩემს მოსწავლეებს, უჭირთ საგაკვეთილო პროცესში ჩართულობა ამას მოწმობს მათთან ჩატარებული დაკვირვება.

ჩემმა პედაგოგიურმა საჭიროებამ და კვლევის შედეგებმა გადამაწყვეტინა აღნიშნულ თემაზე კვლევის ჩატარება, რაც ვიმედოვნებ, გაზრდის ჩემს პედაგოგიურ გამოცდილებასა და მსგავსი პრობლემის წამოჭრის დროს შევძლებ კოლეგების დახმარებასაც კვლევის პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ გავეცანი სათანადო ლიტერატურას. კვლევის პროცესში, მონაცემთა შეგროვების მიზნით გამოვიყენე რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდები. ჩატარებული მეთოდების ანალიზის შემდეგ გამოიკვეთა პრობლემები, რაც ხელს უშლიდა მოსწავლეებში საინფორმაციო ტექნოლოგიების უნარ-ჩვევების განვითარებას V კლასის მოსწავლეებში.

კვლევის მიზანი იყო პრობლემის მიზეზების დადგენა. დასახული მიზნის მისაღწევად საჭირო იყო საინტერესოდ და სწორად დაგეგმილიყო აქტივობები. საჭირო ისეთი მეთოდების შემუშავება, რომლებიც დამეხმარებოდა პრობლემის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრაში, აუმაღლებდა მოსწავლეებს მოტივაციას, გამოიწვევდა მოსწავლეთა ჩართულობასა და ისინი ხალისით და სიამოვნებით შეასრულებდნენ პრაქტიკულ სამუშაოებს, რაც თავის მხრივ გაზრდიდა მათ აკადემიურ მაჩვენებლებს. დასახული მიზნის მისაღწევად საჭირო იყო საინტერესოდ და სწორად დაგეგმილიყო აქტივობები.

მიმაჩნია, კვლევაში გამოყენებული მეთოდებით შევძელი მიმედწია დასახული მიზნისათვის. ჩემ მიერ გამოყენებული რესურსებით, სასწავლო პროცესი საინტერესოდ და სახალისოდ წარიმართა და ნელ-ნელა პრობლემის აღმოფხვრა დაიწყო. მოღებული შედეგი დადებითია და ვთვლი, რომ შეიძლება მისი კოლეგებთან გაზიარება.

აღნიშნული კვლევის ანგარიში წარვადგინე მათემატიკისა და ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კათედრის მასწავლებლებთან და შეფასების ჯგუფის წევრებთან პრეზენტაციის სახით. მიღებული გამოცდილების გაზიარების, ასევე კოლეგებიდან უკუკავშირის მიღების მიზნით.

შეხვედრისას მეტად საინტერესო თვალსაზრისი გამოიკვეთა. მათ აღნიშნეს, რომ გამოცდილების გაზიარება დაეხმარება მათ მსგავსი პრობლემის მოგვარებაში. განსაკუთრებით საინტერესო იყო მათთვის ჩემ მიერ ჩატარებული ინტერვენციები, რომლებიც შედიოდა იმ აქტივობების ჩამონათვალში, რის მიხედვითაც დაგეგმილი მქონდა ინტერვენციები. ჩემ მიერ განხორციელებული ინტერვენციები დაეხმარათ მათ საკუთარი იდეების სტრუქტურირებაში.

კვლევის შედეგების გაზიარება საინტერესო იყო ჩემი კოლეგებისათვის. გამოთქვეს სურვილი, რათა უფრო ხშირად გამოეყენებინათ საგაკვეთილო პროცესში საინფორმაციო ტექნოლოგიები.

რეკომენდაციები, რომელიც კოლეგებისგან მივიღე, კვლევის საწყის ეტაპზე დამეხმარა პრობლემის იდენტიფიცირებაში, კვლევის სხვადასხვა ეტაპზე ვხვდებოდი კოლეგებს და ვიღებდი მათგან დროულ და საინტერესო რჩევებს. იმართებოდა დისკუსიები. მათი რჩევები და სწავლების მეთოდები გამომადგა კვლევის პროცესში.

მიმაჩნია, რომ უკუკავშირი იყო დადებითი. კოლეგები დაინტერესდნენ ჩემი კვლევის შედეგებით და გაუჩნდათ სურვილი თვითონაც აწარმოონ საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა.

კვლევის გაგრძელებას კვლავაც ვაპირებ. პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა ხომ არის პროფესიული სიტუაციების სისტემური კვლევა, ჩატარებული მასწავლებელთა მიერ საკუთარი პროფესიონალიზმის დახვეწის, სასწავლო პროცესის და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით. ვეცდები მუდმივად ვიყო ყურადღებით და არ გამომრჩეს თითოეული მოსწავლის საჭიროება სწავლების პროცესში, რათა დროულად გავუწიო დახმარება და აღმოვფხვრა პრობლემა.

ხელმოწერა:

თარიღი: 20,06,2019წ.

